საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
სამინისტრო

წიაღის
ეროვნული სააგენტო

# საქართველოს წიაღის სექტორის საინვესტიციო პოტენციალის მიმოხილვა

დიასპორის ეკონომიკური ფორუმი

თბილისი, 2021

# წიაღის სექტორის მიმოხილვა

საქართველო მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულით.

ძირითადად, ესენია:

- ოქრო
- სპილენძი
- მანგანუმი
- ქვანახშირი
- მოსაპირკეთებელი ქვები და საშენი მასალები
- მინერალური, თერმული და მტკნარი მიწისქვეშა წყლები

წიაღის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მისი ძირითადი ფუნქციებია

- სასარგებლო წიაღისეულის მონაცემთა ბაზების მუდმივი განახლება და მართვა
- სალიცენზიო ობიექტებისთვის გეოლოგიური ინფორმაციის მომზადება
- პოტენციური ინვესტორი კომპანიების პროაქტიული მოზიდვა /კომუნიკაცია
- არსებული ინვესტორი კომპანიების მხარდაჭერა (ე.წ. Aftercare)
- ობიექტების ლიცენზირება და ლიცენზიების რეესტრის მართვა
- ლიცენზიის პირობების კონტროლი და ზედამხედველობა

# საქართველოში არსებული ბიზნეს მეგობრული გარემო და სექტორში ინვესტირების უპირატესობები

- მრავალფეროვანი მინერალურ-რესურსული ბაზა
- ხელმისაწვდომობა პირველად გეოლოგიურ ინფორმაციაზე
- გამარტივებული ბიზნეს პროცესები
- მინიმალური წინასწარი გადახდის ტვირთი
- გამჭვირვალე სააუქციონო სისტემა
- ხელმისაწვდომობა წიაღისეულის გადამუშავებისთვის აუცილებელ სახელმწიფო ქონებაზე

# ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია მისთვის საინტერესო რესურსის სახეობისა და მდებარეობის მითითებით. შექმნილია ელექტრონული კატალოგი, სადაც ინტეგრირებულია სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში არსებული ანგარიშები.

https://nam-geofund.archival-services.gov.ge/

სექტორში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებ და ფეისბუქ გვერდებზე

http://www.nam.gov.ge/
https://www.facebook.com/nationalagencyofmines

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით, ლიცენზიის მაძიებელის მიერ განაცხადის წარსადგენად გამოიყენება ავტომატური მართვის საშუალება – ელექტრონული პროგრამა -

www.eservices.rs.ge

ინფორმაციას აუქციონის გამართვის თაობაზე ლიცენზიის გამცემი აქვეყნებს შემდეგ ინტერნეტგვერდებზე:

https://www.eauction.ge და http://www.nam.gov.ge/

# განხორციელებული რეფორმები

## გეოლოგიური ფონდების გახსნა

- შეიქმნა გაციფრებული ანგარიშების ელექტრონული კატალოგი: https://nam-geofund.archival-services.gov.ge/
- გაუქმდა ინფორმაციის მიღებისათვის დადგენილი საფასური

## EBRD-ის მხარდაჭერით მიმდინარე წიაღის სექტორის რეფორმა

- მთავრობამ დაამტკიცა წიაღის სექტორის სტრატეგიის დოკუმენტი და მიმდინარეობს სამართლებრივი ჩარჩოს განახლებაზე მუშაობა

## რეგულაციებისა და პროცედურების გამარტივება -

**პირდაპირი წესი წყლითსარგებლობის ლიცენზიებზე** - გამარტივდა სამეწარმეო დანიშნულებით მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის პროცედურა. შეიქმნა პირდაპირი წესით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების მინიჭების მექანიზმი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებისათვის, წლის განმავლობაში 5 000 კუბურ მეტრამდე მოცულობის წყლის მოპოვების უფლებით.

უქციონის ვადების ოპტიმიზაცია - მადნეული რესურსების და მინერალური წყლის გარდა აუქციონის ვადა შემცირდა 1 თვიდან 15 კალენდარულ დღემდე.

**შესწავლის ფასის შემცირება** - განხორციელდა შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის საწყისი სააუქციონო ფასის გადახედვა და შემცირდა ჰექტარზე 50 ლარამდე (ცვლილებამდე ფასი შეადგენდა 500 ლარს).

## ბიზნეს პროცესების დიგიტალიზაცია -

დაინერგა ლიცენზირების ერთიანი ელექტრონული პლატფორმა http://www.nam.gov.ge/

## მოპოვება/გადამუშავების პროცესში ინტეგრირებული მიდგომის დანერგვა

განხორციელებული ცვლილების შედეგად გამარტივდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების/წიაღითსარგებლობის ლიცენზიის მფლობელისათვის სახელმწიფო ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის პროცედურები. ლიცენზიის მფლობელს უკვე შეუძლია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სასყიდლით, თუმცა დამატებითი აუქციონის გარეშე – პირდაპირი წესით მიიღოს

## პროაქტიული მუშაობა ინვესტორებთან

- ფორუმებსა და გამოფენებში მონაწილეობა (PDAC 2019, Berlin Mining Forum 2019, EU Raw Materials Week 2019);
- მიმზიდველი საინვესტიციო პროექტების დაპაკეტება

## საბადოს დამუშავების თანამედროვე მოთხოვნების დანერგვა

წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავება განხორციელდება თანამედროვე მეთოდებით და დაცული იქნება მიდგომები, რომლებიც საკითხთან დაკავშირებით არსებობს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში

# ლიცენზირების წესები და პროცედურები

## განაცხადის შემოტანა

**ლიცენზიის მისაღებად მეწარმე სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს წარუდგენს:**

ა) განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს მოსაპოვებელი რესურსის სახეობის, ადგილმდებარეობისა და ლიცენზიის მოქმედების ვადის შესახებ (ივსება ელექტრონული ფორმით "rs.ge"–ვებგვერდის საშუალებით);
ბ) სალიცენზიო ობიექტის X და Y კოორდინატები;
გ) იურიდიული პირის (შპს, ს/ს ი.მ. და ა.შ.) შემთხვევაში — სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერებს, ფიზიკური პირი — პირადობის მოწმობას.
დ) განცხადებით გათვალისწინებული ტერიტორიის კერძო საკუთრებაში არსებობისას — მესაკუთრის თანხმობას (ნოტარიულად დამოწმებული) ლიცენზიის გაცემის თაობაზე;

**წიაღის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიის მიღება შეუძლიათ როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს**

დამატებითი ინფორმაცია იხ: http://nam.gov.ge/?m=text&menu=2

# რა ეტაპებს გადის განაცხადი?

## რა ეტაპებს გადის განაცხადი?

ა) აღნიშნული განცხადება ლიცენზირების დეპარტამენტიდან განსახილველად ელექტრონულად იგზავნება გეოლოგიის დეპარტამენტში, რომელიც ადგილზე ვიზუალურად შეისწავლის ტერიტორიას და ამზადებს გეოლოგიურ დასკვნას.
ბ) განცხადება, თანდართული დასკვნით, უბრუნდება ლიცენზირების დეპარტამენტს, საიდანაც შეკითხვა იგზავნება ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებაში, რომლის სარგებლობაშიც მდებარეობს მიწა, რომელზეც განთავსებულია სალიცენზიო ობიექტი (წყლის მოპოვების ლიცენზიის შემთხვევაში – ასევე თუ ობიექტი კვეთს თხუთმეტრიან სანიტარულ დაცვის ზონას). აღნიშნული დაწესებულება აფიქსირებს პოზიციას ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და დადებითი პასუხის შემთხვევაში, შესაძლებელია მომავალ ლიცენზიანტს განუსაზღვრავს პირობები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას შემდგომ სალიცენზიო პირობების შედგენისას.
გ) სალიცენზიო ობიექტის შესახებ მოპოვებული მონაცემები ელექტრონულად იგზავნება უწყებათაშორის კომისიაზე, რომელიც 5 სამუშაო დღეში განიხილავს რამდენად მიზანშეწონილია ლიცენზიის გაცემა. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მომზადებული ინფორმაცია ელექტრონული სახით დაიდება ელექტრონულ ვებგვერდზე (www.eauction.ge) და გამოცხადდება აუქციონი, სადაც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს;

## რა არის საჭირო ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად?

აუქციონის გამართვამდე მონაწილეებს 1 თვის ვადაში აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ საიტზე და გადაიხადონ საგარანტიო თანხა („ბე“ – საწყისი თანხის 10% ან 50% და მოსაკრებელი – 200 ლარი). აუქციონზე გამარჯვებულის მიერ დარჩენილი თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს 15 კალენდარულ დღეში. ამ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუძლია თანხა გადაიხადოს საჯარიმო პერიოდში – მომდევნო 15 სამუშაო დღის განმავლობაში, რა დროსაც თითო გადაცილებულ დღეზე იხდის ჯარიმას, გადასახდელი თანხის 1%-ს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუქციონი ითვლება ჩაშლილად.

## აუქციონის გამართვიდან რამდენ დღეში მზადდება ლიცენზია?

ლიცენზია მზადდება სააგენტოში საბოლოო თანხის გადახდის დაფიქსირებიდან 30-ე კალენდარულ დღეს.აუქციონის დასრულების შემდგომ, არსებობს ლიცენზიის მომზადების დაჩქარებული მომსახურება. აღნიშნულ შემთხვევაში ლიცენზიის მიღება შესაძლებელია დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის დღესვე – 500 ლარი, მომდევნო სამუშაო დღეს – 400 ლარი, 2 სამუშაო დღეში – 300 ლარი; 3 სამუშაო დღეში – 200 ლარი, 5 სამუშაო დღეში – 150 ლარი; 7 სამუშაო დღეში – 100 ლარი და 10 სამუშაო დღეში 50 ლარი. მომზადებულ ლიცენზიას თან ახლავს შესაბამისი ბრძანება, რომელშიც გარდა ყველა დეტალური ინფორმაციისა, ჩაწერილია ასევე პირობები, რომელიც უნდა დაიცვას და შეასრულოს ლიცენზიის მფლობელმა.

# ინფორმაცია სერვისების შესახებ

დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციის გაწევის პროცესს ადგილზე უზრუნველყოფს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სერვისების მიწოდებისა და აუქციონის ორგანიზების სამმართველო (დავით აღმაშენებლის გამზირი N150, პირველი სართული),

## ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ასევე:

- სააგენტოს  ოფიციალური მეილის (info@nam.gov.ge ) ;
- ტელეფონის (032 243 95 57) ;
- ოფიციალური ვებ-გვერდის ონლაინ ჩატის;
- სოციალური ქსელის (Facebook) ოფიციალური გვერდის საშუალებით.

# წიაღითსარგებლობის სასიცოცხლო ციკლი

| ელ.აუქციონი | 5 წლამდე | 3 თვის ვადაში | 40 წლამდე | ლიცენზიის ვადის გასვლა |
|---|---|---|---|---|
| ელექტრონული აუქციონი | შესწავლა | მარაგების დამტკიცება | მოპოვება | საბადოს დახურვა/აღდგენა |

**წიაღითსარგებლობის ლიცენზიის სახეები:**

- შესწავლა – მოპოვება
- მოპოვება

# საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა

## წიაღით სარგებლობის შემთხვევაში სუბიექტზე ვრცელდება შემდეგი ფინანსური ვალდებულებები:

- ლიცენზიის ფასი
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი რომელიც მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტში
- რეგულირების საფასური (ზოგიერთ რესურსზე)

მოსაკრებლისა და რეგულირების საფასურის დარიცხვის პრინციპია ათვისების გეგმა, ათვისების გეგმაზე ზედმეტობით მოპოვების შემთხვევაში – ფაქტობრივი მოპოვების მიხედვით;

## კანონმდებლობით დადგენილი სხვა გადასახადები:

- მოგების  გადასახადი (დივიდენდის განაწილების შემთხვევაში)
- საშემოსავლო გადასახადი
- ქონების გადასახადი

# საქართველოში არსებული საგადასახადო განაკვეთები

რეგულირების საფასურის ოდენობები

| ბუნებრივი რესურსი | ზომის ერთეული | რეგულირების საფასურის ოდენობა (ლარში) |
|---|---|---|
| ნახშირი | 1 ტონა | 0,10 |
| მანგანუმი | 1 ტონა/1%-იანი შემცველობით | 0,10 |
| სპილენძი | 1 ტონა | 127,5 |
| ტყვია | 1 ტონა | 14,8 |
| თუთია | 1 ტონა | 36,0 |
| ოქრო | 1 გრამი | 1,5 |
| ვერცხლი | 1 გრამი | 0,02 |
| დიატომიტი | 1 ტონა | 3,0 |
| ნახშირორჟანგი (Co2) | 1 ტონა | 10 |

წყარო: რეგულირების საფასურის შესახებ საქართველოს კანონი

# მოსაკრებლის განაკვეთები

| სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი | ზომის ერთეული | მოსაკრებლის ოდენობა ლარებში |
|---|---|---|
| ნახშირი | 1 ტონა | 1 |
| ტორფი და საპრობელები | 1 ტონა | 0.7 |
| რკინა | 1 ტონა/1 %-იანი შემცველობით | 0.008 |
| მანგანუმი | 1 ტონა/1 %-იანი შემცველობით | 0.18 |
| სპილენძი | 1 ტონა | 255.31 |
| ტყვია | 1 ტონა | 37 |
| თუთია | 1 ტონა | 90 |
| ანთიმონიტი | 1 ტონა/1%-იანი შემცველობით | 0.09 |
| კადმიუმი | 1 ტონა | 800000 |
| ალუმინი | 1 ტონა | 104 |
| ნიკელი | 1 ტონა | 450 |

| სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი | ზომის ერთეული | მოსაკრებლის ოდენობა ლარებში |
|---|---|---|
| კალა | 1 ტონა | 400 |
| სტრონციუმი და სხვა | 1 ტონა | 0.8 |
| ოქრო | 1 გრამი | 3 |
| პლატინოიდები | 1 გრამი | 1.3 |
| ვერცხლი | 1 გრამი | 0.03 |
| იშვიათი ლითონები, ელემენტები და იშვიათ მიწათა ელემენტები | 1 გრამი | 1.5 |
| ანდეზიტი | 1 მ3 | 0.6 |
| ბარიტი | 1 ტონა | 1.8 |
| კალციტი | 1 ტონა | 1.2 |
| ბენტონიტური თიხები | 1 ტონა | 3.6 |
| ვერცხლისწყალი | 1 ტონა/1%-იანი შემცველობით | 0.1 |

| სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი | ზომის ერთეული | მოსაკრებლის ოდენობა ლარებში |
|---|---|---|
| დარიშხანი | 1 ტონა | 20 |
| გოგირდი | 1 ტონა | 2 |
| დიატომიტი და სხვა | 1 ტონა | 6 |
| დოლომიტი | 1 ტონა | 0.5 |
| ცეცხლგამძლე თიხები | 1 ტონა | 1 |
| საფლუსე კირქვები | 1 ტონა | 0.5 |
| კვარცის ქვიშები საყალიბე და მინის წარმოებისათვის | 1 ტონა | 1.5 |
| მინერალური პიგმენტები | 1 ტონა | 200 |
| ტალკი | 1 ტონა | 1 |
| ცეოლითი | 1 ტონა | 1 |
| კაოლინი | 1 ტონა | 4.0 |

წყარო: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონი

# მოსაკრებლის განაკვეთები

| სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი | ზომის ერთეული | მოსაკრებლის ოდენობა ლარებში |
|---|---|---|
| ტრაქიტი | 1 ტონა | 0.3 |
| პეგმატიტი | 1 ტონა | 0.3 |
| კირქვა კირის წარმოებისათვის | 1 ტონა | 0.15 |
| გრაფიტი | 1 ტონა | 8 |
| საყალიბე-საფლუსე თიხები | 1 ტონა | 0.3 |
| კერამიკული თიხები | 1 ტონა | 0.2 |
| ბუნებრივი ცარცის ქვა | 1 ტონა | 0.1 |
| საფორმე ქვიშები | 1 მ3 | 0.3 |
| ლითოგრაფიული ქვა და სხვა | 1 მ3 | 2 |
| ძვირფასი ქვები | 1 კარატი | 1 |

| სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი | ზომის ერთეული | მოსაკრებლის ოდენობა ლარებში |
|---|---|---|
| საიუველირო ნახევრადძვირფასი ქვები (აკვამარინი, ამეთვისტო, ქრიზოლითი, მთის ბროლი და სხვა) | 1 კილოგრამი | 0.25 |
| საიუველირო-სანაკეთობო ქვები (აქატი, მალაქიტი, ნეფრიტი, სერდოლიკი, ქარვა, გიშერი, ლაზურიტი და სხვა) | 1 კილოგრამი | 0.15 |
| იასპი (ეშმი) | 1 გრამი | 0.05 |
| საცემენტე ნედლეული (კირქვა, თიხამიწა, სპონგოლიტი) | 1 ტონა | 0.14 |
| თაბაშირი | 1 ტონა | 0.7 |
| გაჯი | 1 ტონა | 1.0 |
| პერლიტი | 1 ტონა | 1.8 |
| ხრეში, ქვიშა | 1 მ3 | 0.2 |

| სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი | ზომის ერთეული | მოსაკრებლის ოდენობა ლარებში |
|---|---|---|
| სააგურე თიხები | 1 მ3 | 0.35 |
| მოსაპირკეთებელი და სახერხი ქვები (გრანიტი, სიენიტი, დიორიტი, გაბრო, ტეშენიტი, ბაზალტი, ტუფი, მარმარილო) | 1 მ3 | 1.0 |
| საღორღე ნედლეული | 1 მ3 | 0.4 |
| სხვა სამენი მასალები | 1 მ3 | 0.7 |
| სასმელ-სამკურნალო და ჩამოსასხმელი მიწისქვეშა მინერალური წყლები, გარდა ამ პუნქტის „ბ"–„ე" ქვეპუნქტებში აღნიშნული მინერალური წყლებისა | 1 მ3 | 3 |
| სამკურნალო ტალახი | 1 ტონა | 1 |

წყარო: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონი

# წიაღის სექტორში ოპერირებენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა:

HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

ჰაიდელბერგ ცემენტ ჯირჯია აღმოსავლეთ საქართველოში ოპერირებს ორი მიმართულებით, რაც მოიცავს ქარხნების მართვას და ნედლეულის მოპოვებას კლინკერისა და ცემენტის წარმოებისთვის.

Mn
ჯორჯიან
მანგანეზი

ჭიათურის მანგანუმის საბადოს ამუშავებს შპს ჯორჯიან მანგანეზი, რომელიც ამერიკული კომპანიის - „ჯორჯიან ემერიქან ელოისის“ მფლობელობაშია

არემჯი
რიჩ მეტალს გრუპი

სპილენძისა და ოქროს მოპოვებას ბოლნისის მუნიციპალიტეტში არემჯი ჯგუფი (RMG Group) ახორციელებს

# სტატისტიკური მაჩვენებლები – 2019 წელი

- წიაღის სასაქონლო პროდუქტების წილი ექსპორტში 2019 წელს – 25%;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამამუშავებელ და სამთომოპოვებით მრეწველობაში 2019 წელს – 167,708.4 ათასი აშშ დოლარი
- სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა – 45 000
- ქვეყნის მასშტაბით გაცემული ლიცენზიების რაოდენობა – 4 500

# პოლიმეტალური საბადოები

## ძამას მადანგამოვლინების ღართას უბანი

ფართობი: 3140 ჰა

ლიცენზიის ტიპი: შესწავლა/მოპოვება

საწყისი ფასი: 9 000 000 ლარი

ლიცენზიის ვადა: 30 წელი

საინვესტიციო ვალდებულებები

დასაქმება
შესწავლაზე -20 ადამიანი,
შემდგომ მუდმივად - 300 ადამიანი

ინვესტიცია
7 მლნ. ლარი

## ართანას მადანგამოვლინება (სპილენძი, პოლიმეტალები

ფართობი: 1999 ჰა

ლიცენზიის ტიპი: შესწავლა/მოპოვება

საწყისი ფასი: 10 000 ლარი

ლიცენზიის ვადა: 30 წელი

საინვესტიციო ვალდებულებები

დასაქმება
10 ადამიანი

ინვესტიცია
2.5 მლნ. ლარი

## მერისის ოქროს, სპლიმენძ-პოლიმეტალური საბადო

ფართობი: 11 190 ჰა

საწყისი ფასი: 5მლნ ლარი

ლიცენზიის ვადა: 30 წელი

საინვესტიციო ვალდებულებები

დასაქმება
პირველი 3 წელიწადი -50
შემდგომ მუდმივად - 500 ადამიანი

ინვესტიცია
30 მლნ. ლარი

# სამთო - ქიმიური ნედლეული





## ქისათიბის დიატომიტის საბადო

- ფართობი: 169ჰა
- რაოდენობა: 10 380 000 ტ
- საწყისი ფასი: 14 840 249 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 20 წელი

### საინვესტიციო ვალდებულებები

დასაქმება
50 ადამიანი

ინვესტიცია
5 მლნ. ლარი



## ჩურჩუტო-ჩიხელის ბენტონიტური თიხის საბადო

- ფართობი: 28ჰა
- რაოდენობა: 16 613 000 ტ
- საწყისი ფასი: 14 291 763 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 20 წელი

### საინვესტიციო ვალდებულებები

დასაქმება
50 ადამიანი

ინვესტიცია
5 მლნ. ლარი



## თეძამის სამხრეთ უბნის, ცეოლითშემცველი ტუფების საბადო



- ფართობი: 28ჰა
- რაოდენობა: 13 128 401 ტ
- საწყისი ფასი: 3 358 418 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 20 წელი

### საინვესტიციო ვალდებულებები

დასაქმება
25 ადამიანი

ინვესტიცია
3 მლნ. ლარი

# მყარი რესურსები



## ოდუნდის ტუფობრექჩიის საბადო

- ფართობი: 20.9 ჰა
- რაოდენობა: 3 398 000 $მ^3$
- საწყისი ფასი: 321 210 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 20 წელი



**საინვესტიციო ვალდებულებები**

დასაქმება 25 ადამიანი

ინვესტიცია 2 მლნ. ლარი

## ფოკას ვულკანური წიდის საბადო



- ფართობი: 32ჰა
- რაოდენობა: 7 895 000 $მ^3$
- საწყისი ფასი: 1 325 359 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 20 წელი

**საინვესტიციო ვალდებულებები**

დასაქმება 15 ადამიანი

ინვესტიცია არანაკლებ 2 მლნ. ლარი





## ქოსალარი 2-ის (საყდარი) ბაზალტის საბადო

- ფართობი: 21.5 ჰა
- რაოდენობა: 1 576 000 $მ^3$
- საწყისი ფასი: 377 078 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 20 წელი



**საინვესტიციო ვალდებულებები**

დასაქმება 20 ადამიანი

ინვესტიცია 2მლნ. ლარი

## მაქართას მინერალური წყლის საბადო



- ადგილმდებარეობა: დუშეთი, სოფ. მაქართა
- ფართობი: 0.07ჰა (თითოეულ წყალპუნქტზე)
- რაოდენობა: 138 335 მ$^3$ / წელიწადში
- საწყისი ფასი: 2 127 012 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 25 წელი

**საინვესტიციო ვალდებულებები**

- დასაქმება 25 ადამიანი
- ინვესტიცია 10 მლნ. ლარი

## ბახას მტკნარი წყლის საბადო



- ადგილმდებარეობა: დუშეთის რაიონი, სოფელი ბახანი
- ფართობი: 0.07ჰა (თითოეულ წყალპუნქტზე)
- რაოდენობა: 7 884 მ$^3$ წელიწადში
- საწყისი ფასი: 203 854 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 25 წელი

**საინვესტიციო ვალდებულებები**

- დასაქმება 10 ადამიანი
- ინვესტიცია 4 მლნ. ლარი

## ფანშეთის მინერალური წყლის საბადო



- ადგილმდებარეობა: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფანშეთი
- ფართობი: 0.07ჰა (თითოეულ წყალპუნქტზე)
- რაოდენობა: 416 100 მ$^3$ / წელიწადში
- საწყისი ფასი: 7 665 737 ლარი
- ლიცენზიის ვადა: 25 წელი

**საინვესტიციო ვალდებულებები**

- დასაქმება 30 ადამიანი
- ინვესტიცია 5 მლნ. ლარი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

წიაღის ეროვნული სააგენტო

# მადლობა ყურადღებისთვის

საკონტაქტო ინფორმაცია:

- დავით აღმაშენებლის გამზირი N150, 0112,თბილისი
- კორესპონდენციის მიღება: info@nam.gov.ge
- სალიცენზიო განაცხადების მიღება: https://eservices.rs.ge/
- Online კონსულტაცია : www.nam.gov.ge https://www.facebook.com/nationalagencyofmines
- სატელეფონო კონსულტაცია: 032 243 95 57

დიასპორის ეკონომიკური ფორუმი

თბილისი, 2021